

20 ივნისს, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ორგანიზებით სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიისა და ბიოქიმიის სტუდენტები GMP ფარმაცევტულ საწარმოს ესტუმრენ. სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ საწარმოების, კვლევისა და ტესტირების ლაბორატორიები. საინფორმაციო ტურის ფარგლებში სტუდენტების გაეცნენ პრეპარატების დამზადების სრულ ტექნოლოგიურ ციკლს, თანამშრომლების მუშაობის პროცესს და საწარმოს დანადგარების საინჟინრო სქემას. ტურის შემდეგ სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ კითხვა-პასუხის რეჟიმში მეტი გაეგოთ კომპანიის მიღწევებსა და სამომავლო გეგმების შესახებ.